



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა პროფესიული საჯარო მოხელის  
პროფესიული განვითარების საბაზისო პროგრამის შესახებ

პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული  
განვითარების საბაზისო პროგრამა -  
პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი

სსიპ საჯარო აუდიტის ინსტიტუტი

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე: თინათინი კუპრაშვილი, სს საქართველოს უნივერსიტეტი

წევრი: მაია ხურცილავა, სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის  
სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

თბილისი  
2020

## შეფასების პროცესის მოკლე მიმოხილვა

სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტის მიმართვის საფუძველზე (წერილი № 000000279, 19/02/2020) სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება MES 1 20 0001158414 (04/12/2020) საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა მონიტორინგის ვიზიტი „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის რესურსების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, კერძოდ, დაწესებულების მიერ ფართის (7 ახალი ფართი) და პროგრამის განმახორციელებელი პირების - ტრენერების (9 ტრენერი) დამატების მიზნით.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე - თინათინი კუპრაშვილი, წევრი - მაია ხურცილავა, განხორციელდა დისტანციურად 2020 წლის 09 დეკემბერს.

ვიზიტის განხორციელებამდე ჯგუფმა შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტები. ვიზიტი განხორციელდა 12:00 სთ-დან წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგის შესაბამისად.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ჩაატარა ინტერვიუები დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, ტრენერებთან და პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში ჩართულ სხვა პირებთან, შეისწავლა და მოისმინა ინფორმაცია სასწავლო ფართისა და მატერიალური რესურსების შესახებ და ვიზიტის დასრულებისას, დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნო ვიზიტის განმავლობაში გაკეთებული ძირითადი მიგნებები.

## პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

პროგრამის მონიტორინგის ფარგლებში წარმოდგენილი და ადმინისტრაციული წარმოების მასალებისა და ვიზიტის დროს დაწესებულების მიერ დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების შედეგად დგინდება, რომ პროგრამის

განხორციელებასთან დაკავშირებული რესურსები შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

- რეკომენდაციები


არ საჭიროებს

- რჩევები (არსებობის შემთხვევაში)

*სასურველია, ტრენერებთან გაფორმებულ წინასწარ შეთანხმებებში აისახოს კონკრეტული ლოკაციები.*

### ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. თინათინი კუპრაშვილი (თავმჯდომარე)



17.12.2020

2. მაია ხურცილავა (წევრი)



17.12.2020

## პროგრამის შესაბამისობის შეფასება აკრედიტაციის სტანდარტებთან

### პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რესურსები

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რესურსები უნდა უზრუნველყოფდეს სპროგრამის ეფექტიან განხორციელებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

2.1. სწავლებას ახორციელებს სათანდო კვალიფიკაციის მქონე პირი/პირები (შემდგომში – ტრენერი):

ა) ტრენერს აქვს პროგრამის სასწავლო კომპონენტის შესაბამისი: 1) აკადემიური უმაღლესი ან მასთან გათანაბრებული განათლება, ან შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 3-წლიანი გამოცდილება; და 2) ბოლო 3 წლის განმავლობაში ტრენერად მუშაობის გამოცდილება;

ბ) ტრენერთან გაფორმებულია ხელშეკრულებები ან წინასწარი შეთანხმებები დამადასტურებელი დოკუმენტები;

გ) ტრენერს არ აქვს ინტერესთა კონფლიქტი, კერძოდ, ტრენერი არ შეიძლება იყოს პირი, რომლის სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებამაც შეიძლება პირდაპირი და უშუალო ზეგავლენა მოახდინოს აკრედიტაციის პროცესის მიუკერძოებლად და ობიექტურად განხორციელებაზე.

### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისადმი სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტის (წერილი № 000000279, 19/02/2020) მიმართვაში აღნიშნულია ცენტრის მიერ პროგრამის განმახორციელებელი პირების (შემდგომში ტრენერების) დამატების შესახებ, კერძოდ 9 განმახორციელებელი პირის.

როგორც სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და ტრენერთან გასაუბრების შედეგად ირკვევა, ტრენერების შერჩევა მოხდა სხვადასხვა მეთოდებით, მათ შორის სხვადასხვა პროფესიული პლატფორმების (LinkedIn) გამოყენებით, წინა თანამშრომლობის გამოცდილების გათვალისწინებისა და სფეროს პროფესიონალების რეკომენდაციების საფუძველზე. ტრენერების შერჩევის პროცესში გამოიყენეს შერჩევის სხვადასხვა კრიტერიუმები, მათ შორის საჩვენებელი ტრენინგების ჩატარება, რეზიუმეს შესწავლა, გასაუბრება და ა.შ.

აღნიშნული ტრენერების კვალიფიკაცია დასტურდება შემდეგი წარმოდგენილი დოკუმენტაციით: წარმოდგენილი CV-ებითა და შესაბამისობის დოკუმენტით.

კონკრეტული მიმართულებით კომპეტენცია ზოგ ტრენერს უდასტურდება

უმაღლესი განათლებით, ზოგს - შესაბამის სფეროში სულ მცირე სამწლიანი გამოცდილებით. ყველა მათგანს აქვს ბოლო სამი წლის განმავლობაში უწყვეტი ტრენინგების გამოცდილება.

ტრენინგებისა და პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით, თანამშრომლობის საწყის ეტაპზე, ინსტიტუტის წარმომადგენლებმა ტრენინგებს გააცნეს პროგრამა, პროგრამის მიზნებისა და სწავლების შედეგების რუკა, საგნებისათვის დათმობილი საათების რაოდენობა, შეფასების მეთოდოლოგია. აღნიშნული ინფორმაციის გათვალისწინებით, ტრენინგებმა შეიმუშავეს ტრენინგის განხორციელების გეგმები და სილაბუსები.

ტრენინგთა ნაწილის განმარტებით, ისინი ასევე ჩაერთნენ სასწავლო მასალის განახლების პროცესში, კერძოდ, სახელმძღვანელოების შემუშავების პროცესში.

პროგრამის ხელმძღვანელისა და დაწესებულების დირექტორის განმარტებებით, მათთან არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, ტრენინგებთან ინდივიდუალური ხელშეკრულებები ფორმდება უშუალოდ სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული აქტივობის ჩატარების წინ, რის საფუძველსაც წარმოადგენს, ტრენინგებთან თანამშრომლობის დაწყებისას გაფორმებული წინასწარი შეთანხმება. შეთანხმებები გაფორმებულია 2020 წლის 10 იანვრიდან 22 იანვრის შუალედში.

მონიტორინგის ექსპერტთა ვიზიტისას, ტრენინგებთან გაფორმებული წინასწარი შეთანხმებების გადამოწმებისას დადგინდა, ტრენინგებს თანხმობა აქვთ გამოხატული ტრენინგის ჩატარებაზე მთელი საქართველოს მასშტაბით. ტრენინგებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ თითოეულ მათგანს აქვს ინფორმაცია ყველა შესაძლო ლოკაციის შესახებ. ტრენინგებმა აღნიშნეს, რომ ლოკაციების შესახებ ინფორმაცია მიიღეს არაერთგზის, საჯარო აუდიტის ინსტიტუტის ადამინისტრაციის სხვადასხვა წარმომადგენლებისაგან.

დაწესებულების წარმომადგენლებს განემარტათ, რომ პროგრამის მეტი მდგრადობისათვის, სასურველია ტრენინგებს ჰქონოდათ წერილობითი თანხმობა გამოხატული ტრენინგის ჩატარების შესახებ ყველა ახალ ლოკაციაზე და აღნიშნული აისახოს მათთან გაფორმებულ წინასწარ შეთანხმებებში.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ის გარემოება, რომ აღნიშნულ შეთანხმებებში არ არის მითითებული ტრენინგის ჩასატარებელი ლოკაციები, მათ აძლევს ლავირების შესაძლებლობას და თავიდან არიდებს ზემდეტ ბიუროკრატიულ პროცედურებს, კერძოდ, ყოველი ახალი ლოკაციის დამატების შემთხვევაში ტრენინგების ინფორმირებას წერილობითი ფორმით და ახალი შეთანხმების გაფორმებას.

ტრენინგთა პირად საქმეებში არსებული დოკუმენტის მიხედვითა და გასაუბრების შედეგად მიღებული ინფორმაციით არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი.

## ინდიკატორები

1. სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტის წერილი N 000000279, 19.02.2020;
2. ტრენერთა პირადი საქმეები - 9 პირადი საქმე;
3. ტრენერთან გაფორმებული შეთანხმებები;
4. კომპეტენციის დადასტურების დოკუმენტები - 9 დოკუმენტი;
5. პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საბაზისო პროგრამა - „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარება“;
6. ტრენერებთან გასაუბრება - 8 ტრენერი;
7. დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრება.

## რეკომენდაციები:

- არ საჭიროებს

## რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- *სასურველია, ტრენერებთან გაფორმებულ წინასწარ შეთანხმებებში აისახოს კონკრეტული ლოკაციები.*

## შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

### √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. დაწესებულებას შეუძლია პროგრამით გათვალისწინებული აქტივობების (დაგეგმვა, განხორციელება და შეფასება) განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური, ფინანსური და ადმინისტრაციული რესურსების დემონსტრირება:

ა) არსებობს საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, რომელიც რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას;

ბ) შემუშავებულია პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც რეალისტური და გაზომვადია; ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება

პროგრამის საჭიროებებს;

გ) ადმინისტრაციული პერსონალის ფუნქციები შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებულ მიზნებსა და საჭიროებებს;

დ) რესურსები ხელმისაწვდომი და გამოყენებადია სპეციალური საჭიროების მქონე პირებისათვის;

ე) არსებობს პროგრამით გათვალისწინებული აქტივობების სრულყოფილად განხორციელების უზრუნველყოფისთვის საჭირო ფართი, სადაც დაცულია ჰიგიენისა და უსაფრთხოების ნორმები, მათ შორის, არსებობს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის; ფართის მართლზომიერი მფლობელობა დასტურდება კანონმდებლობით დადგენილი წესით ან არსებობს წერილობითი შეთანხმება, საჭიროებიდან გამომდინარე, ფართით დროებითი სარგებლობის შესაძლებლობის შესახებ.

### **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტს მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს N09 გადაწყვეტილებით (15.11.2019) მიენიჭა პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის“ განხორციელების უფლება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2026 წლის 1 იანვრამდე უსასყიდლოდ, სარგებლობის უფლებით გადაცემულ სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ და მის ბალანსზე მყოფ აუდიტორიაში (ოთახი 117). აუდიტორია განთავსებულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

დაწესებულება პროგრამის განხორციელებას გეგმავს დამატებით 7 ლოკაციაზე, კერძოდ:

1. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი(გორი, ჭავჭავაძის ქ.N53, საკადასტრო ნომერი N66.45.21.121). (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება N34, 26.11.2014);
2. სსიპ - „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“(ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქ. N35/32 ს.კ.05.23.03.004). (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება N56, 27.08.2018);
3. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი(მის: ზუგდიდი, ჯანაშია N14) (საკადასტრო ნომერი-N 43.31.61.352). (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება N86, 6.11.2018);
4. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, (მის: ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქ. N1; უნივერსიტეტის პირველი სასწავლო კორპუსი, I სართული. საკადასტრო ნომერი 53.20.42.052. აუდიტორია



N 107). (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება N728768, 25.08.2020);

5. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, (მის: ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. N 122ა; ს.კ. 62.09.60.118; აუდიტორია 203). (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება N2, 20.02.2020);
6. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, (მის: ქ. ქუთაისი, თამარ მეფის ქ. N 59; ს.კ. 03.03.27.318; აუდიტორია 1114 და 1119). (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება N61, 7.09.2018);
7. შპს ქუთაისის უნივერსიტეტი, (მის: ქ. ქუთაისი, წერეთლის ქ. N13; ქ. N 59; ს.კ. 03.03.26.123.). (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება N71, 24.09.2018);

აღნიშნული შვიდივე ლოკაცია არის ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება.

ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების წარმომადგენელმა აღწერა ტრენინგის ტექნიკური მხარდაჭერის პროცედურები. თითოეულ ლოკაციაზე მათ მიერ გამოყოფილია პირი, რომელიც ადგილზე უზრუნველყოფს ტრენინგის ტექნიკურ მხარდაჭერას. დაწესებულებამ ვიზიტის დროს წარმოადგინა „ტრენინგების/ სერტიფიცირების დაგეგმვისა და განვითარების პროცედურა“, სადაც გაწერილია ტრენინგის განხორციელების ყველა ეტაპი. დოკუმენტაცია ითვალისწინებს როგორც ტრენინგის საჭირო რესურსებით უზრუნველყოფას, ასევე, ტრენინგის შეფასებას შემდგომი გაუმჯობესების მიზნით. წარმოდგენილი დოკუმენტაციით და ინტრევიუების (ტრენერებთან, ადმინისტრაციულ პერსონალთან) საფუძველზე დგინდება, რომ დაწესებულებაში თანამშრომელთა ფუნქცია-მოვალეობები თანხვედრაშია პროგრამის საჭიროებებთან.

მათ მიერ ასევე წარმოდგენილი იქნა პროგრამის ბიუჯეტის ფორმა. პროგრამის ბიუჯეტი შედგება ორი მუხლისგან: პირდაპირი ხარჯები და არაპირდაპირი ხარჯი. პირდაპირ ხარჯებში დეტალურადაა ჩამოთვლილი ჰონორარები, მატერიალურ რესურსებზე გაწერილი ხარჯები, ხოლო არაპირდაპირ ხარჯებში გათვალისწინებულია ადმინისტრაციული ხარჯი.

თითოეული ლოკაციის ფარგლებში წარმოდგენილია საევაკუაციო გეგმები და და სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით შემუშავებული რეგულაციები.

ვინაიდან ვიზიტი განხორციელდა დისტანციურ ფორმატში, სპეციალური საჭიროების მქონე პირებისათვის რესურსების ხელმისაწვდომობაზე ექსპერტთა ჯგუფი დაეყრდნო უსდ-სთვის ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებებს,



ვინაიდან ავტორიზაციის ერთ-ერთი ქვესტანდარტი ითვალისწინებს რესურსების ხელმისაწვდომობას სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის. დაწესებულებას ასევე შემუშავებული აქვს შშმ პირებისთვის ადაპტირებული სასწავლო პროგრამის შემუშავების წესი.

ყველა ლოკაციაზე დაცულია ჰიგიენისა და უსაფრთხოების ნორმები, რაც დგინდება მათი ავტორიზაციის სტატუსიდან გამომდინარე. ფართის მართლზომიერი მფლობელობა დასტურდება კანონმდებლობით დადგენილი წესით და არსებობს, ზემოთ ჩამოთვლილი ლოკაციების გამოყენებაზე წერილობითი შეთანხმებები, საჭიროებიდან გამომდინარე, ფართით დროებითი სარგებლობის შესაძლებლობის შესახებ. შეთანხმებების ფარგლებში დაკონკრეტებულია ტრენინგის სრულყოფილად ჩატარებისთვის საჭირო აუცილებელი ტექნიკისა და ინვენტარის გამოყოფა (პროექტორი, კომპიუტერი, მაგიდა, კამი) .

### ინდიკატორები

1. სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტის წერილი N 000000279, 19.02.2020;
2. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ხელმძღვანელთან 2020 წლის 19 თებერვლის წერილი MES 3 20 00213600 ფართის გამოყოფის შესახებ; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება N34, 26.11.2014;
3. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან 29.10.2014, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი N 882014576368, საკადასტრო კოდი 66.45.21.121;
4. 19.02.2020-ის საჯარო აუდიტის ინსტიტუტის დირექტორის, გელა წიკლაურის N 000000279 წერილი სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორს თამარ მახარაშვილს;
5. 2018 წლის 30 აპრილის ხელშეკრულება სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტსა და შპს რიგი სერვისს შორის სახანძრო უსაფრთხოების მოწყობილობების შეძენის შესახებ;
6. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საეკვუაციო გეგმა - 2 გვერდი;
7. სსიპ - „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ რექტორის 2019 წლის 30 დეკემბრის წერილი MES 5 19 01778427 ფართის გამოყოფის შესახებ; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება N56, 27.08.2018;
8. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან 24.05.2018, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი N 892018430237, საკადასტრო კოდი 05.23.03.004;
9. სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის / ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის როინ ვარშანიძის 28.06.2018 წლის MIA 1 19 011691630 წერილი სსიპ-ბათუმის შოთა

რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრის თაობაზე, მიწერილობა #19;

10. სსიპ - „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ საევაკუაციო გეგმა;
11. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის 2019 წლის 31 დეკემბრის წერილი MES 3 19 01782853 ფართის გამოყოფის შესახებ; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება N86, 6.11.2018;
12. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან 12.04.2018, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი N 892018260393, საკადასტრო კოდი 43.31.61.352;
13. სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის / ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის როინ ვარშანიძის 19.07.209 წლის MIA 2 19 01902447წერილი სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრის თაობაზე, მიწერილობა N 1050;
14. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2019 წლის 25 დეკემბრის წერილი MES 2 19 01761503 ფართის გამოყოფის შესახებ; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება N728768, 25.08.2020;
15. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან 21.10.2014, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი N 882014549671, საკადასტრო კოდი 53.20.42.052;
16. 18.08.2016 წლის მიწერილობა N2122899 სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრის თაობაზე;
17. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი სასწავლო კორპუსის საევაკუაციო გეგმა - 6 გვერდი;
18. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2020 წლის 24 დეკემბრის წერილი MES 0 19 01751944 ფართის გამოყოფის შესახებ; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება N2, 20.02.2020;
19. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან 02.02.208, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი N 892018068367, საკადასტრო კოდი 62.09.60.118;
20. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე კორპუსის საევაკუაციო გეგმა - 4 გვერდი;
21. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილის 2019 წლის 19 დეკემბრის წერილი MES 6 19 01733517 ფართის გამოყოფის შესახებ; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების

<p>ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება N61, 7.09.2018;</p> <p>22. 2017 წლის 24 ნოემბერის ხელშეკრულებები N463, N464 და N465 სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ი/მ გიორგი შავგულიძეს ს/კ 60001027368 შორის სახანძრო უსაფრთხოების მოწყობილობების შეძენის შესახებ - 3 ხელშეკრულება;</p> <p>23. შპს ქუთაისის უნივერსიტეტის რექტორის 2019 წლის 26 დეკემბრის წერილი N 00002481 ფართის გამოყოფის შესახებ; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება N71, 24.09.2018;</p> <p>24. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან 14.05.2019, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი N882019345810, საკადასტრო კოდი 03.03.26.123;</p> <p>25. სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასავლეთ საქართველოს რეგიონული ექსპერტიზის ბიუროს 2018 წლის 27 თებერვლის დასკვა N50001182918 სახანძრო უსაფრთხოების შესახებ;</p> <p>26. შპს ქუთაისის უნივერსიტეტის საევაკუაციო გეგმა;</p> <p>27. სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტის ტრენინგების/სერტიფიცირების დაგეგმვისა და განვითარების პროცედურის დოკუმენტი;</p> <p>28. სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტის სასწავლო პროცესის ორგანიზების აღნიშვნის ფურცელი (ჩეკლისტი);</p> <p>29. ტრენინგის ბიუჯეტის შაბლონი;</p>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ არ საჭიროებს</li> </ul>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ არ საჭიროებს</li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>